

შპს მოუღდს ენდ მეტალს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	14
5. ძირითადი საშუალებები	17
6. მარაგები	18
7. სხვა მოთხოვნები	18
8. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
9. სესხები	18
10. სხვა ვალდებულებები	19
11. სავაჭრო და სახელშეკრულებო ვალდებულებები.....	19
12. ამონაგები და თვითღირებულება.....	19
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
14. სხვა ხარჯები	20
15. დაკავშირებულ მხარეები.....	20
16. პირობითი ვალდებულებები.....	21
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	21

მმართველობის ანგარიშგება	26
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯიას“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯიას“ (შემდეგში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტო მარაგების ინვენტარიზაცია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობაზე შემდეგი ქვეჯგუფებისთვის:

	2020	2019
შავი ლითონის ჯართი	5,286,945	4,877,976
სხვა დამხმარე მარაგები	1,157,693	-
სულ საბალანსო ღირებულება	6,444,638	4,877,976

შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიის ერთერთი კონტრაგენტისგან ვერ მივიღეთ სახელშეკრულებო ვალდებულების დადასტურება. დამატებით, როგორც ეს აღნიშნულია მე-14 შენიშვნაში, 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. კომპანიამ აღიარა შემოსავალი ამ სახელშეკრულებო ვალდებულების შესწორებიდან 1,385,628 ლარი. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილზე, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 23,827,336 და 23,361,734 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სახელშეკრულებო ვალდებულებებთან, სხვა ხარჯებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა გარემოებებმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა კომპანიის შემოსავლებზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულადი სახსრების შემოდიდებაზე. მოცემული გარემოებით გამოწვეული გრძელვადიანი ეფექტი კომპანიაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გლობალური ეკონომიკის აღდგენაზე. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომლის მიხედვით კომპანია ვერ შეძლებს სავაჭრო ვალდებულებების სრულად დაფარვას და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას მომხმარებლებისგან ავანსების მიღების გარეშე. ხელმძღვანელობის მოლოდინით, კომპანია შეძლებს:

- ვალდებულებების გადახდის გრაფიკის განახლებას კრედიტორებთან მოლაპარაკებების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით რომ სავაჭრო ვალდებულებების არსებითი ნაწილი ეკუთვნის დაკავშირებულ მხარეს;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიზნით მომხმარებლებისგან სახელშეკრულებო თანხის ავანსად მიღებას, იმის გათვალისწინებით რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებითი ნაწილი ეკუთვნის დაკავშირებულ მხარეს;
- სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სასამართლო დავის კომპანიისთვის ნეგატიური შედეგით დასრულების შემთხვევაში გადახდის გრაფიკის შედგენას მოლაპარაკებების საფუძველზე;
- საჭიროების შემთხვევაში დაფინანსებისთვის საჭირო დამატებითი სახსრების მოძიებას.

მოლაპარაკებების შედეგის ზუსტი შეფასება ამჟამად შეუძლებელია. საოპერაციო საქმიანობის მიღებული ფაქტიური შედეგები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაგეგმილისგან. მოცემული გარემოებები მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე კომპანიის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილ საკითხზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოს მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

25 იანვარი, 2022

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯიას“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯიას“ (შემდეგში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაცია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობაზე შემდეგი ქვეჯგუფებისთვის:

	2020	2019
შავი ლითონის ჯართი	5,286,945	4,877,976
სხვა დამხმარე მარაგები	1,157,693	-
სულ საბალანსო ღირებულება	6,444,638	4,877,976

შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიის ერთერთი კონტრაგენტისგან ვერ მივიღეთ სახელშეკრულებო ვალდებულების დადასტურება. დამატებით, როგორც ეს აღნიშნულია მე-14 შენიშვნაში, 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. კომპანიამ აღიარა შემოსავალი ამ სახელშეკრულებო ვალდებულების შესწორებიდან 1,385,628 ლარი. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილზე, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 23,827,336 და 23,361,734 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სახელშეკრულებო ვალდებულებებთან, სხვა ხარჯებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა გარემოებებმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა კომპანიის შემოსავლებზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულადი სახსრების შემოძენებაზე. მოცემული გარემოებით გამოწვეული გრძელვადიანი ეფექტი კომპანიაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გლობალური ეკონომიკის აღდგენაზე. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომლის მიხედვით კომპანია ვერ შეძლებს სავაჭრო ვალდებულებების სრულად დაფარვას და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას მომხმარებლებისგან ავანსების მიღების გარეშე. ხელმძღვანელობის მოლოდინით, კომპანია შეძლებს:

- ვალდებულებების გადახდის გრაფიკის განახლებას კრედიტორებთან მოლაპარაკებების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით რომ სვაჭრო ვალდებულებების არსებითი ნაწილი ეკუთვნის დაკავშირებულ მხარეს;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიზნით მომხმარებლებისგან სახელშეკრულებო თანხის ავანსად მიღებას, იმის გათვალისწინებით რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებითი ნაწილი ეკუთვნის დაკავშირებულ მხარეს;
- სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სასამართლო დავის კომპანიისთვის ნეგატიური შედეგით დასრულების შემთხვევაში გადახდის გრაფიკის შედგენას მოლაპარაკებების საფუძველზე;
- საჭიროების შემთხვევაში დაფინანსებისთვის საჭირო დამატებითი სახსრების მოძიებას.

მოლაპარაკებების შედეგის ზუსტი შეფასება ამჟამად შეუძლებელია. საოპერაციო საქმიანობის მიღებული ფაქტიური შედეგები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაგეგმილისგან. მოცემული გარემოებები მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე კომპანიის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილ საკითხზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოს მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

25 იანვარი, 2022

შპს მოუღლდს ენდ მეტალს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	16,620,480	20,242,443
		16,620,480	20,242,443
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	13,354,863	10,015,250
სხვა მოთხოვნები	7	481,781	1,473,622
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	1,143,548	128,006
		14,980,192	11,616,878
სულ აქტივები		31,600,672	31,859,321
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		18,003,556	18,353,556
დაგროვილი ზარალი		(53,189,738)	(42,396,278)
		(35,186,182)	(24,042,722)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	-	2,972,063
		-	2,972,063
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	9	19,478,880	14,429,809
სახელმწიფო ვალდებულებები	12	33,419,332	23,361,734
სხვა ვალდებულებები	10	5,107,285	4,650,896
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	8,781,357	10,487,541
		66,786,854	52,929,980
სულ ვალდებულებები		66,786,854	55,902,043
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		31,600,672	31,859,321

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 25 იანვარს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი ნანავა

შპს მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	16,620,480	20,242,443
		16,620,480	20,242,443
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	13,354,863	10,015,250
სხვა მოთხოვნები	7	481,781	1,473,622
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	1,143,548	128,006
		14,980,192	11,616,878
სულ აქტივები		31,600,672	31,859,321
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		18,003,556	18,353,556
დაგროვილი ზარალი		(53,189,738)	(42,396,278)
		(35,186,182)	(24,042,722)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	-	2,972,063
		-	2,972,063
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	9	19,478,880	14,429,809
სახელშეკრულებო ვალდებულებები	12	33,419,332	23,361,734
სხვა ვალდებულებები	10	5,107,285	4,650,896
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	8,781,357	10,487,541
		66,786,854	52,929,980
სულ ვალდებულებები		66,786,854	55,902,043
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		31,600,672	31,859,321

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 25 იანვარს შემდეგი პერიოდით:

დირექტორი



გიორგი ნანავა

შპს მოუღლდს ენდ მეტალს ჯორჯია

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	12	40,549,945	81,653,552
თვითღირებულება	12	(41,353,958)	(83,444,936)
მთლიანი ზარალი		(804,013)	(1,791,384)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(576,064)	(640,954)
სხვა ხარჯები	14	(3,840,989)	(650,480)
საოპერაციო ზარალი		(5,221,066)	(3,082,818)
ფინანსური ხარჯი		(1,847,112)	(1,453,796)
წმინდა ზარალი საკუთროსო სხვაობიდან		(3,725,282)	(1,896,927)
წმინდა ზარალი		(10,793,460)	(6,433,541)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული ზარალი		(10,793,460)	(6,433,541)

შპს მოუღდს ენდ მეტალს ჯორჯია

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2018	19,203,556	(35,962,737)	(16,759,181)
სრული ზარალი	-	(6,433,541)	(6,433,541)
კაპიტალის გატანა	(850,000)	-	(850,000)
31 დეკემბერი 2019	18,353,556	(42,396,278)	(24,042,722)
სრული ზარალი	-	(10,793,460)	(10,793,460)
კაპიტალის გატანა	(350,000)	-	(350,000)
31 დეკემბერი 2020	18,003,556	(53,189,738)	(35,186,182)

შპს მოუღლდს ენდ მეტალს ჯორჯია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(10,793,460)	(6,433,541)
შესწორებები:			
ცვეთა	12;14	3,297,751	4,279,563
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	14	426,908	-
მარაგების გაუფასურება	14	-	393,906
საპროცენტო ხარჯი	9	1,847,112	1,453,796
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		3,725,282	1,896,927
სახელშეკრულებო ვალდებულებების შესწორება	14	-	(1,385,628)
		(1,496,407)	205,023
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების შემცირება/(ზრდა)		(3,033,837)	6,599,291
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		991,841	(595,846)
სახელშეკრულებო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		10,057,598	(622,402)
სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		47,489	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(716,031)	126,677
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		5,850,653	5,712,743
გადახდილი პროცენტები	9	(1,789,289)	(1,488,306)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		4,061,364	4,224,437
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,146,785)	(4,225,416)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,146,785)	(4,225,416)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება	9	4,510,211	18,625,684
სესხების დაფარვა	9	(4,920,250)	(18,008,360)
კაპიტალში გატანა		(350,000)	(850,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(760,039)	(232,676)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		1,154,540	(233,655)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	128,006	638,581
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა		(138,998)	(276,920)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	1,143,548	128,006

შპს მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს). კომპანიის დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამეწარმეო ლითონის სხმულების წარმოება და რეალიზაცია, რომლის წარმოებაშიც იყენებს ადგილობრივ და იმპორტირებულ ნედლეულს. კომპანიის მთლიანი ნაწარმოები პროდუქცია გადის ექსპორტზე. კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, ფოთი, წმინდა გიორგის ქუჩა #139.

კომპანიის მფლობელები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ჰამდი ალაედდინი	34.0%	34.0%
ჰამდი კემალეთინი	32.6%	32.6%
დავით მირცხულავა	16.7%	16.7%
ზაზა მირცხულავა	16.7%	16.7%
სულ	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვეველობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის გავლენის ანალიზი კომპანიის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებულია არსებით განუსაზღვრელობასთან.

გარემოებები რომლებიც მიუთითებს საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობაზე

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, კომპანიას აქვს წმინდა ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან, უარყოფითი სამუშაო კაპიტალი და მოკლევადიანი ლიკვიდურობის უარყოფითი მაჩვენებელი.
- კომპანიის საოპერაციო საქმიანობა დამოკიდებულია მზა პროდუქციის ძირითადი მომხმარებლისგან სახელმწიფოებო თანხის ავანსად მიღებაზე, რაც განაპირობებს დადებით ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან. საკონტრაქტო ვალდებულების მოცულობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 33,419,332 ლარს (შენიშვნა 12);

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- კომპანიას მიღებული აქვს სესხები საქართველოში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტებიდან. აღნიშნული სესხები უზრუნველყოფილია გრძელვადიანი აქტივებით და მარაგებით. 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით სესხების ნაშთი შეადგენს 19,478,880 ლარს. (შენიშვნა 9);
- 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით კომპანიას აქვს არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები 8,781,357 ლარი (შენიშვნა 11);
- 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით კომპანიას აქვს სხვა ვალდებულებები ჯამური თანხით 5,107,285. ვალდებულებები წარმოქმნილია სახელმწიფოსთან გაფორმებული სახელშეკრულებო პირობების დარღვევით. კომპანიას აქვს დავა სასამართლოში აღნიშნულ ვალდებულებებთან დაკავშირებით (შენიშვნა 10);.
- კორონავირუსი COVID 19-ის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს თითქმის ყველა სექტორში მოღვაწე საწარმოზე. გლობალურმა შეზღუდვებმა და ეკონომიკურმა განვითარებამ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის სამომავლო საქმიანობაზე და დასახული გეგმების განხორციელებაზე. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია.

ხელმძღვანელობის შეფასებები არსებითი განუსაზღვრელობის განმაპირობებელ გარემოებებთან დაკავშირებით

2020 წელს კომპანიის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა COVID-19 პანდემიის გავრცელების შემცირების მიზნით გამოცემულ მითითებებს და ბრძანებებს, როგორც საქართველოში ასევე გლობალურად. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს კომპანიის შემოსავლებზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულადი სახსრების შემოდინებაზე. მოცემული გარემოებით გამოწვეული გრძელვადიანი ეფექტი კომპანიაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გლობალური ეკონომიკის აღდგენაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა:

- 2021 წლის ფაქტიური შედეგები, რომლის მიხედვით კომპანიამ ორჯერ გაზარდა ამონაგების მოცულობა 2020 წელთან შედარებით.
- მნიშვნელოვნად გაზარდა მთლიანი მოგების მარჟა, რამაც კომპანიას საშუალება მისცა ნაწილობრივ დაეფარა სასესხო ვალდებულებები.
- 2021 წელს გამსესხებელთან მოლაპარაკების საფუძველზე წარმატებით დასრულდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული, სესხების რესტრუქტურირაცია, რის მიხედვითაც სესხების დასრულების ვადა არის 2025 წელი, ხოლო 2022 წელს გადასახდელი სესხის ძირი და პროცენტი შედგენს 1,500,000 დოლარს.

ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომლის მიხედვით კომპანია ვერ შეძლებს სავაჭრო ვალდებულებების სრულად დაფარვას და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას მომხმარებლებისგან ავანსების მიღების გარეშე. ხელმძღვანელობის მოლოდინით, კომპანია შეძლებს:

- ვალდებულებების გადახდის გრაფიკის განახლებას კრედიტორებთან მოლაპარაკებების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით რომ სავაჭრო ვალდებულებების არსებითი ნაწილი ეკუთვნის დაკავშირებულ მხარეს;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიზნით მომხმარებლებისგან სახელშეკრულებო თანხის ავანსად მიღებას, იმის გათვალისწინებით რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებითი ნაწილი ეკუთვნის დაკავშირებულ მხარეს;
- სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სასამართლო დავის კომპანიისთვის ნეგატიური შედეგით დასრულების შემთხვევაში გადახდის გრაფიკის შედგენას მოლაპარაკებების საფუძველზე;
- საჭიროების შემთხვევაში დაფინანსებისთვის საჭირო დამატებითი სახსრების მოძიებას.

მოლაპარაკების შედეგის ზუსტი შეფასება ამჟამად შეუძლებელია. საოპერაციო საქმიანობის მიღებული ფაქტიური შედეგები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაგეგმილისგან.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი ფას-ების მიღება

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის პირველი იანვრიდან ძალაში რამდენიმე ახალი ინტერპრეტაცია და შესწორებები, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძველები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიან გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად. 2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ლ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალაო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახორციელებს სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამომდინარეობასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული შედეგები შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 არა ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სხვა ვალდებულებებს და სავაჭრო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,143,548	128,006
სულ ფინანსური აქტივები	1,143,548	128,006
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,781,357	10,487,541
სხვა ვალდებულებები	5,107,285	4,650,896
მიღებული სესხები	19,478,880	17,401,872
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,367,522	32,540,309

4. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება, რომელიც შეესაბამება საბალანსო ღირებულებას, ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 9%-10%-ს, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების

შპს მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები განთავსებულია დოლარში. ცხილში გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

	2020	2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	933,037	25,045
სულ ფინანსური აქტივები	933,037	25,045
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,156,683	8,064,292
სხვა ვალდებულებები	3,276,600	2,286,770
მიღებული სესხები	19,478,880	17,401,872
სულ ფინანსური ვალდებულებები	29,912,163	27,752,934
წმინდა ფინანსური პოზიცია	(28,979,126)	(27,727,889)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ცხრილი გვიჩვენებს გავლენას წმინდა მოგებაზე.

	+20%	-20%
მოგება/(ზარალი) 2020	(5,795,825)	5,795,825
მოგება/(ზარალი) 2019	(5,545,578)	5,545,578

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს მიზნით მომხმარებელზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი გადახდების საფუძველზე.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულია ფინანსურ ინსტიტუტებში არსებულ ფულის ეკვივალენტების ნაშთებთან და შეადგენს შესაბამისად 979,513 და 48,338 ლარს.

შპს მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფულადი აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,781,357	-	8,781,357
სხვა ვალდებულებები	5,107,285	-	5,107,285
მიღებული სესხები	19,904,909	-	19,904,909
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,793,551	-	33,793,551
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,487,541	-	10,487,541
სხვა ვალდებულებები	4,650,896	-	4,650,896
მიღებული სესხები	15,365,063	3,049,945	18,415,008
სულ ფინანსური ვალდებულებები	30,503,500	3,049,945	33,553,445

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ტრანსპორტი	CIP	სულ
31.12.2018	1,917,097	5,081,864	18,423,336	142,548	3,428,406	5,373,959	34,367,210
შემოსვლა	-	2,352,189	1,354,492	12,275	-	1,533,936	5,252,892
გადატანა	-	-	6,907,895	-	-	(6,907,895)	-
31.12.2019	1,917,097	7,434,053	26,685,723	154,823	3,428,406	-	39,620,102
შემოსვლა	-	-	270,563	8,213	129,696	-	408,472
გადატანა	-	(550,237)	535,156	9,100	5,981	-	-
გასვლა	-	(297,496)	(1,932,565)	(38,972)	(136,801)	-	(2,405,834)
31.12.2020	1,917,097	6,586,320	25,558,877	133,164	3,427,282	-	37,622,740
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2018	(237,204)	(1,391,824)	(12,118,767)	(64,188)	(1,743,852)	-	(15,555,835)
შემოსვლა	(40,897)	(418,642)	(3,004,049)	(20,711)	(337,525)	-	(3,821,824)
31.12.2019	(278,101)	(1,810,466)	(15,122,816)	(84,899)	(2,081,377)	-	(19,377,659)
შემოსვლა	(40,897)	(472,201)	(2,738,611)	(23,683)	(328,135)	-	(3,603,527)
გადატანა	(12,004)	246,387	(241,416)	(133)	7,166	-	-
გასვლა	-	120,745	1,701,765	30,163	126,253	-	1,978,926
31.12.2020	(331,002)	(1,915,535)	(16,401,078)	(78,552)	(2,276,093)	-	(21,002,260)
საბალანსო ღირებულება							
31.12.2019	1,638,996	5,623,587	11,562,907	69,924	1,347,029	-	20,242,443
31.12.2020	1,586,095	4,670,785	9,157,799	54,612	1,151,189	-	16,620,480

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა მიღებული სესხების უზრუნველყოფას.

შპს მოუღდს ენდ მეტალს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. მარაგები

	2020	2019
მზა საქონელი	6,910,225	3,098,746
შავი ლითონის ჯართი	5,286,945	4,877,976
სხვა დამხმარე მარაგები	1,157,693	2,038,528
სულ	13,354,863	10,015,250

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგები წარმოადგენდა მიღებული სესხების უზრუნველყოფას.

7. სხვა მოთხოვნები

	2020	2019
წინასწარ გადახდილი გადასახადები	356,766	1,236,244
გადახდილი ავანსები	121,444	209,683
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	3,571	27,695
სულ	481,781	1,473,622

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
ფული სალაროში	164,035	79,668
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	933,037	25,045
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	46,476	23,293
სულ	1,143,548	128,006

9. სესხები

	2020		2019	
	მიმდინარე	გრძელვადიანი	მიმდინარე	გრძელვადიანი
სესხის ძირი	19,387,455	-	14,396,207	2,972,063
საპროცენტო ვალდებულება	91,425	-	33,602	-
სულ	19,478,880	-	14,429,809	2,972,063

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების მოძრაობას.

	2020	2019
საწყისი ნაშთი	17,401,872	15,992,199
ახალი სესხები	4,510,211	18,625,684
პერიოდის საპროცენტო ხარჯი	1,847,112	1,453,796
გადახდილი პროცენტი	(1,789,289)	(1,488,306)
გადახდილი ძირი	(4,920,250)	(18,008,360)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	2,429,224	826,859
საბოლოო ნაშთი	19,478,880	17,401,872

სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონებით და კომპანიის 100%-ნი წილით.

შპს მოულდის ენდ მეტალს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. სხვა ვალდებულებები

	2020	2019
ვადაგადაცილებაზე ჯარიმა	1,646,000	1,646,000
ჯარიმა ინვესტიციის არგანხორციელებაზე	3,276,600	2,867,700
სხვა	184,685	137,196
სულ	5,107,285	4,650,896

სხვა ვალდებულებები წარმოიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან მიწის შესყიდვით. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას მოეთხოვებოდა არმატურის საწარმოებელი ქარხნის მშენებლობა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 3 წლის განმავლობაში; ქარხნის მშენებლობისთვის კომპანიას უნდა განეხორციელებინა მინიმუმ 20 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით ინვესტიცია. შეთანხმების თანახმად, საინვესტიციო პირობების დარღვევის შემთხვევაში, ყოველდღიური ჯარიმის მოცულობა განსაზღვრული იყო საინვესტიციო თანხის 0.1%, არაუმეტეს 1,000,000 აშშ დოლარისა. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ ვერ უზრუნველყო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფომ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და კომპანიას ჩამოართვა მიწის ნაკვეთი.

ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად კომპანიას დაეკისრა ჯარიმა სახელშეკრულებო ვალდებულების ვადაგადაცილებაზე და გადასახდელი სახელმწიფო მიწით სარგებლობაზე.

კომპანიას აქვს დავა სასამართლოში აღნიშნულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

11. საგაჭრო და სახელშეკრულებო ვალდებულებები

	2020	2019
არარეზიდენტი დაკავშირებული მხარეები	6,470,473	7,429,371
სხვა არარეზიდენტი კომპანიები	744,175	673,293
სულ არარეზიდენტი კომპანიები	7,214,648	8,102,664
ადგილობრივი მომწოდებლები	1,566,709	2,384,877
სულ	8,781,357	10,487,541

12. ამონაგები და თვითღირებულება

ცხრილი გვიჩვენებს ამონაგებს და თვითღირებულებას სახეობების მიხედვით.

	2020			2019		
	სხმულები	ჯართი	სულ	სხმულები	ჯართი	სულ
ამონაგები	33,222,070	7,327,875	40,549,945	73,680,122	7,973,430	81,653,552
პროდუქციის თვითღირებულება:						
პროდუქცია	(33,388,025)	(6,046,990)	(39,435,015)	(72,859,873)	(6,889,244)	(79,749,117)
მიწოდების სერვისი:						
გემში ჩატვირთვის ხარჯი	(823,876)	(368,640)	(1,192,516)	(1,847,577)	(512,238)	(2,359,815)
ფრახტის ხარჯი	-	(488,251)	(488,251)	(138,876)	(683,786)	(822,662)
ტრანსპორტირების ხარჯი	(111,060)	(36,360)	(147,420)	(216,110)	(62,460)	(278,570)
შეფუთვის ხარჯი	(70,387)	-	(70,387)	(178,576)	-	(178,576)
სხვა	(10,194)	(10,175)	(20,369)	(29,733)	(26,463)	(56,196)
სულ სერვისის თვითღირებულება	(1,015,517)	(903,426)	(1,918,943)	(2,410,872)	(1,284,947)	(3,695,819)
სულ თვითღირებულება	(34,403,542)	(6,950,416)	(41,353,958)	(75,270,745)	(8,174,191)	(83,444,936)
მთლიანი მოგება/(ზარალი)	(1,181,472)	377,459	(804,013)	(1,590,623)	(200,761)	(1,791,384)

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში შემავალი ცვეთის ხარჯი შეადგენდა შესაბამისად 1,790,324 და 3,627,708 ლარს.

შპს მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. ამონაგები და თვითღირებულება (გაგრძელება)

ცხრილი ვიჩვენებს ამონაგებს კონტრაგენტების მიხედვით.

ამონაგები კონტრაგენტების მიხედვით	2020	2019
DEMIRSAN ENDUSTRI MAMULLERI PAZARLAMA SANAYI VE TIC OTOMOTIV	28,794,110	-
EPAS HADDECILIK SAN. VE TIC.A.S.	4,427,960	69,225,979
KAPTAN DEMIR CELIK END VE TIC AS	3,713,006	-
MESCIE DEMIR CELIK SANAYI VE TIC ANONIM SIRKETI	2,685,453	4,454,143
შპს კრისტალი	929,416	-
DILER DEMIR CELIK END VE TIC AS TERSANE CADDESI	-	4,129,750
KROMAN CELIK SAN A.S.	-	3,843,680
სულ	40,549,945	81,653,552

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებული ამონაგები, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკონტრაქტო ვალდებულების მოძრაობა	2020	2019
1 იანვარი	23,361,734	25,369,764
სახელშეკრულებო ვალდებულების შესწორება	-	(1,385,628)
საწყისი ნაშთიდან აღიარებული ამონაგები	(4,427,960)	(23,984,136)
მიღებული ავანსი	14,485,558	23,361,734
31 დეკემბერი	33,419,332	23,361,734

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	(118,418)	(166,500)
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	(164,676)	(183,062)
სხვა ხარჯები	(292,970)	(291,392)
სულ	(576,064)	(640,954)

14. სხვა ხარჯები

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	(1,507,427)	(651,855)
რემონტის ხარჯი	(1,072,995)	(417,881)
ხელფასის ხარჯი	(526,643)	(572,466)
სულ მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების მოგდენის წილი	(3,107,065)	(1,642,202)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(426,908)	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი	-	(393,906)
სახელშეკრულებო ვალდებულების შესწორება	-	1,385,628
სხვა	(307,016)	-
სულ	(3,840,989)	(650,480)

15. დაკავშირებულ მხარეები

	ურთიერთობა	2020	2019
ნაშთები			
სახელშეკრულებო ვალდებულება	საერთო მფლობელი	(33,328,702)	(23,361,734)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო მფლობელი	(6,470,472)	(7,429,371)
ოპერაციები			
ამონაგები	საერთო მფლობელი	(33,222,070)	(69,225,979)
შესყიდვა ძირითადი საშუალების	საერთო მფლობელი	-	569,291
ხელფასის ხარჯი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	(40,000)	(42,500)

16. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი აუღიარებელი საკონტრაქტო ვალდებულებები.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. სასაგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

- გამსესხებელთან მოლაპარაკების საფუძველზე წარმატებით დასრულდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული, სესხების რესტრუქტურისაგან, რის მიხედვითაც სესხების დასრულების ვადა არის 2025 წელი.
- კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა წარმოების და ექსპორტის მოცულობა 2020 წელთან შედარებით, მათ შორის ახალი მომხმარებლების მოძიებით. 2021 წელს კომპანიის მიერ ექსპორტზე გატანილმა სხმულების რაოდენობამ შეადგინა 46,185 ტონა ხოლო ექსპორტზე გატანილმა შავი ლითონის ჯართის რაოდენობამ შეადგინა 15,500 ტონა. 2021 წლის ამონაგების მოცულობა თითოეული სახეობის მიხედვით ორჯერ აღემატება 2020 წლის მოცულობას.
- 2021 წელს დამფუძნებლებისგან კომპანიამ აიღო სესხი წმინდა მოცულობით 1,400,0000 ლარი.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

18.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიას ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადაანგარიშებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

18.2 ამონაგები

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს მზა პროდუქციის - ლითონის სხმულებისა და შავი ჯართის გაყიდვიდან, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გამგზავნის ისე მიმღებ პორტში, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით პროდუქციის რაოდენობაზე.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

18.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

18.4 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

18.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	წელი
შენობა-ნაგებობები	5-30
მანქანა-დანადგარები	5-20
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავტოტრანსპორტი	8-15

18.6 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

18.7 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარგალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. კომპანია იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებზე აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

18.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივები გარდა ფული და ფულის ეკვივალენტისა.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს და გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულების მიმდინარე ნაწილს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

18.9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

18.10 იჯარა

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს. კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი იჯარები.

18.11 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

18.12 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

18.13 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი.

შპს მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მმართველობის ანგარიშგება

მოულდს ენდ მეტალს ჯორჯიას შესახებ

შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს). კომპანიის დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამეწარმეო ლითონის სხმულების წარმოება და რეალიზაცია, რომლის წარმოებაშიც იყენებს ადგილობრივ და იმპორტირებულ ნედლეულს. კომპანიის მთლიანი ნაწარმოები პროდუქცია გადის ექსპორტზე. კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, ფოთი, წმინდა გიორგის ქუჩა #139.

კომპანიის დირექტორია გიორგი ნანავა, რომელიც უძღვება საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობას.

ბიზნეს საქმიანობა

კომპანია აწარმოებს ლითონის სხმულებს, რომლის სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე. ლითონის სხმულების წარმოებისთვის გამოყენებულ ნედლეულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შავი ლითონის ჯართს, რომელის შესყიდვა ხორციელდება ადგილობრივი მიმწოდებლებისგან.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ ჩაატარა მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯები და რემონტები. მოცემული კაპიტალური დანახარჯების საფუძველზე კომპანიამ მნიშვნელოვანდ გაზარდა მისი ძირითადი საშუალებები, რომლის საფუძველზეც გაიზარდა საშუალო საწარმოო სიმძლავრე.

ინფორმაცია ფილიალებზე

შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“ საქმიანობს ცენტრალიზებულად და არ გააჩნია ფილიალები.

საკუთარი აქციების შესახებ

კომპანია არ წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას. შესაბამისად, მოცემულ ნაწილში არ გააჩნია ოპერაციები.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

	2020	2019
საერთო მოგების მარჟა	-2%	-2%
საოპერაციო მოგების მარჟა	-13%	-4%
ფინანსური ლევერიჯი	-55%	-72%
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	22%	22%
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	2%	3%
სესხის მომსახურების კოეფიციენტი	(4.84)	(3.43)

გამოთვლის მეთოდოლოგია

* საერთო მოგების მარჟა გამოითვლება საერთო მოგების შეფარდებით შემოსავალთან

* საოპერაციო მოგების მარჟა გამოითვლება საოპერაციო მოგების შეფარდებით შემოსავალთან

* ფინანსური ლევერიჯი გამოითვლება სესხების მიმდინარე და გრძელვადიანი ნაწილი ჯამურად შეფარდებული კაპიტალთან

* მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან

* სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივები შემცირებული მარაგებით და სხვაობა შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან

* სესხის მომსახურების კოეფიციენტი გამოითვლება EBIT შეფარდებული სესხის პროცენტთან. ხოლო EBIT გამოითვლება წმინდა შემოსავალი მოგების გადასახადისა და საპროცენტო ხარჯამდე.

კომპანიას არ აქვს ფინანსური შეზღუდვები დაკავშირებული სესხებთან. მაგრამ სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონებით და კომპანიის 100%-ნი წილით.

შპს მოულდის ენდ მეტალს ჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა 2020 წელს 2019 წელთან შედარებით გაუარესდა, რაც გამოიხატება ფინანსურ კოეფიციენტებში. 2020 წელს კომპანიის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა COVID-19 პანდემიის გავრცელების შემცირების მიზნით გამოცემულ მითითებებს და ბრძანებებს, როგორც საქართველოში ასევე გლობალურად. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს კომპანიის შემოსავლებზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულადი სახსრების შემოღინებაზე. მოცემული გარემოებით გამოწვეული გრძელვადიანი ეფექტი კომპანიაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გლობალური ეკონომიკის აღდგენაზე.

საქმიანობის შედეგზე უარყოფითად იმოქმედა ლარის გაუფასურებამ უცხოურ ვალუტებთან მიმართებით. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა მიღებული ავანსი (საკონტრაქტო ვალდებულება დოლარში), რომელიც მიღებული იყო დაბალი კურსით, ხოლო მარაგების შესყიდვა მოხდა უკვე გაზრდილი კურსით, რამაც განაპირობა ფინანსური ზარალი. ასევე კომპანია 2020 წლის განმავლობაში განიცდიდა ლიკვიდობის პრობლემას, რის გამოც იძულებული იყო საჭირო ფულადი სახსრების გენერირებისთვის მოეხდინა პროდუქციის რეალიზაცია დაბალ ფასად, ასევე ახდენდა ჯარათის ექსპორტზე გატანას ფულის მისაღებად.

წარმოების მოცულობის შემცირებამ გაზარდა მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების მოცდენის წილი.

განმარტებითი შენიშვნები ფინანსური კოეფიციენტებისთვის:

ძირითადი ფინანსური შედეგები:

	2020	2019	ცვლილება	%
შავი ლითონის სხმულები ექსპორტი	33,222,070	73,680,122	(40,458,052)	-55%
შავი ლითონის ჯართი ექსპორტი	7,327,875	7,973,430	(645,555)	-8%
სულ	40,549,945	81,653,552	(41,103,607)	

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს წარმოების მოცულობას.

	2020	2019	ცვლილება	%
შავი ლითონის სხმულების წარმოება	32,579	66,396	(33,817)	-51%
ექსპორტზე გატანა	29,877	72,819	(42,942)	-59%

*წარმოება/ექსპორტი მოცემულია ტონაში

კომპანიის ძირითად საქმიანობას მოიცავს შავი ლითონის სხმულების წარმოება და მისი ექსპორტი თურქეთში. 2020 წელს სხმულების ექსპორტზე გატანა შემცირდა 2019 წელთან შედარებით, შემცირდა ასევე წარმოების მოცულობაც. წარმოების მოცულობის შემცირება განპირობებულია ძირითადად კორონავირუსით გამოწვეული გარემოებებით.

რისკები და მათი მართვა

მაკროეკონომიკური რისკი

- გადატვირთული საწარმოო სიმძლავრეები და მიწოდება მსოფლიო ლითონის ბაზარზე და გაზრდილი კონკურენცია;
- სიახლეები გლობალური ბიზნესის კონკურენტულ გარემოში და კონკურენტების შესაძლო კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მიზნებზე;
- გასაღების ქვეყნებში მოსალოდნელზე დაბალმა ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლოა მიგვიყვანოს მოსალოდნელზე დაბალ რეალიზაციამდე.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- ალტერნატიული ბაზრების მოძიება/განვითარება;
- ექსპორტის გაზრდა;
- დარგში მიმდინარე ტენდენციების და აქტუალური საკითხების შესწავლა.

ფინანსური რისკები

- კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს შავი ლითონის სხმულების ექსპორტზე გატანა. კომპანია რეალიზაციას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, კერძოდ დოლარში, შესაბამისად სავალუტო კურსების რყევებმა ფინანსურ ბაზრებზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო ფულად ნაკადებზე;
- ცვლილებებმა შეფასებებში, რომლებიც საფუძვლად უდევს გარკვეული აქტივების საბალანსო ღირებულებას, შესაძლოა იმოქმედოს ასეთი აქტივების გაუფასურებაზე.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- საქმიანობის დაგეგმვის და ფულადი ნაკადების პროგნოზირების გაერთიანება ლიკვიდობის მართვის ამოცანაში.
- დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საკანონმდებლო რისკები

- გარემოს დაცვის კანონმდებლობის მზარდ მოთხოვნებთან შეუსაბამობამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს რეპუტაციაზე და გამოიწვიოს ვალდებულებების ზრდა;
- სავაჭრო შეზღუდვებმა (ისეთებმა, როგორიცაა მაგალითად, ანტი-დემპინგური კანონები და სხვ.) შესაძლოა შეცვალოს კომპანიის ბიზნესი და მისი გეგმები.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- შესაბამისობაზე ფოკუსირება;
- დარგში მომუშავე ასოციაციებთან და გაერთიანებებთან თანამშრომლობა, რათა გამარტივდეს მოთხოვნები და პოლიტიკა, ადგილობრივი ბიზნესის დასაცავად.

საოპერაციო გარემოს რისკი

- ფოლადის მრეწველობას ახასიათებს მუდმივი დანახარჯების მაღალი დონე და ნედლეულის და ბუნებრივი რესურსების ფასების ცვალებადობა. ნედლეულის მომარაგების შეზღუდვები ან წყვეტა გავლენას ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე;
- დანადგარების მუშაობის შეფერხებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს საწარმოო ოპერაციებზე;
- უსაფრთხოების წესების დარღვევამ, შეუთანხმებელმა მოქმედებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ტრავმები, რომლებსაც მოჰყვება შრომის უნარიანობის დაკარგვა, წარმოების გაჩერება, აქტივების დაზიანება და საბოლოო ჯამში, რეპუტაციის გაუარესება;
- COVID-19 ვირუსის გავრცელებით გამოწვეული რისკები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ამონაგებზე, ასევე მარაგებისა და გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ზრდაზე.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- მიწოდების ალტერნატიული წყაროებისა და შემცვლელი პროდუქტების მოძიება. კომპანიაში უსაფრთხოების წესების დაცვა და გაძლიერება სპეციალური დეპარტამენტის საშუალებით;
- პერსონალის პერიოდული სწავლება უსაფრთხოების წესების კუთხით;

საბაზრო რისკები

- ფოლადის მრეწველობა ციკლური ბიზნესია და ნედლეულის ფასების ხშირმა ცვალებადობამ შესაძლოა არასასურველი მოქმედება იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე;
- შემცვლელი პროდუქტების კონკურენტუნარიანობამ ან საწარმოო პროცესების ცვლილებამ, შესაძლოა მიგვიყვანოს პროდუქტზე მოთხოვნის შემცირებამდე, რაც გამოიწვევს ბაზრის წილის დაკარგვას;

რისკის მართვის სტრატეგიები:

- ხარისხის პოლიტიკის გაძლიერება.

სოციალური რისკი

- ნებისმიერი უთანხმოება თანამშრომლებს შორის ან სოციალური მღელვარება იმ რეგიონში, რომელშიც საქმიანობს კომპანია იწვევს კომპანიის საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას;
- უმაღლესი რგოლის მენეჯერების დენადობამ ან კადრების მოზიდვის და შენარჩუნების უუნარობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიაზე.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის გაუმჯობესება;
- უმაღლესი რგოლის მენეჯერების წახალისების სისტემების შემოღება.

პროდუქტის განვითარება

ინოვაცია არაფერია ხარისხის გარეშე, ამიტომ ჩვენ საკმაოდ დიდ რესურსს ვხარჯავთ იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩვენ მიერ წარმოებული ფოლადის სხმულები აკმაყოფილებს სტანდარტებს, რომლებსაც მომხმარებლები და სხვა მხარეები ითხოვენ. მომხმარებლების მოთხოვნები საზღვრავს პროდუქტის განვითარებას.

კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს თავისი დანადგარების და აღჭურვილობის საოპერაციო საიმედოობას და ხარისხთან შესაბამისობას. შესაბამისად, ძირითად ტექნიკას და ტექნიკური მხარდაჭერის სერვისებს ვუკვეთავთ

წამყვანი საერთაშორისო კომპანიებისგან. ჩვენ შეგვიძლია ფოლადის სხმულის შემცველობა მოვარგოთ მომხმარებლების სპეციფიურ მოთხოვნებს.

გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხები

კომპანიის ჰაერის გასაფილტრი მოწყობილობა უზრუნველყოფს გამონაბოლქვის გაფილტვრას და ჰაერის დაბინძურების შემცირებას. მოცემული მოწყობილობები შესაბამისობაშია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან.

თანამშრომლები და სხვა სოციალური საკითხები

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ადამიანური რესურსების განვითარებას. ჩვენი თანამშრომლები მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს. მენეჯერები ატარებენ სწავლებებს დამწყები თანამშრომლებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების პროცესის ხარისხიანი წარმართვა. ჩვენი პოლიტიკაა გამოცდილი თანამშრომლების შენარჩუნება და ამავედროულად, ახალგაზრდა თანამშრომლებით გუნდის დაკომპლექტება, გაზრდილი საწარმოო სიმძლავრეების დასაკმაყოფილებლად.

კომპანია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნაში, შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის და კეთილდღეობის განვითარებაში.

ანტიკორუფციული საკითხები

ჩვენ ვსაქმიანობთ ბიზნეს ეთიკის უმაღლესი სტანდარტების გათვალისწინებით, სადაც კორუფციას და ქრთამს არ აქვს ადგილი.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 25 იანვარს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი ნანავა

შპს მოუღდს ენდ მეტალს ჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

წამყვანი საერთაშორისო კომპანიებისგან. ჩვენ შეგვიძლია ფოლადის სხმულის შემცველობა მოვარგოთ მომხმარებლების სპეციფიურ მოთხოვნებს.

გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხები

კომპანიის ჰაერის გასაფილტრი მოწყობილობა უზრუნველყოფს გამონაბოლქვის გაფილტვრას და ჰაერის დაბინძურების შემცირებას. მოცემული მოწყობილობები შესაბამისობაშია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან.

თანამშრომლები და სხვა სოციალური საკითხები

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ადამიანური რესურსების განვითარებას. ჩვენი თანამშრომლები მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს. მენეჯერები ატარებენ სწავლებებს დამწყები თანამშრომლებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების პროცესის ხარისხიანი წარმართვა. ჩვენი პოლიტიკაა გამოცდილი თანამშრომლების შენარჩუნება და ამაღლოლად, ახალგაზრდა თანამშრომლებით გუნდის დაკომპლექტება, გაზრდილი საწარმოო სიმძლავრეების დასაკმაყოფილებლად.

კომპანია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნაში, შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის და კეთილდღეობის განვითარებაში.

ანტიკორუფციული საკითხები

ჩვენ ვსაქმიანობთ ბიზნეს ეთიკის უმაღლესი სტანდარტების გათვალისწინებით, სადაც კორუფციას და ქრთამს არ აქვს ადგილი.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 25 იანვარს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი ნანავა